პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 დეკემბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 240 (9651) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჟურნალისტები ასახელებენ

● ჩეხოსლოვაკიელმა ჟურნალისტებმა ქვეყნის 1987 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს ირჟი პარმა (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა).

● ზედიზედ მეორედ დიდი ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია ფ. უიტბრედი (შუბის ტყორცნა). ვაჟთა შორის კი უძლიერესის სახელი წილად ხვდა ნ. ფალდოს (გოლფი).

● ყოველწლიური პრიზი ფინეთში, როგორც საუკეთესო სპორტსმენს, მოთხილამურე ქალს მ. მატიკაინენს გადაეცა.



ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

# შედეგი კანონზომიერი იყო

**დამთავრდა** ხელბურთელთა ოცდამეორე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. საბჭოთა ხელბურთელებმა მეთექვსმეტედ მოიპოვეს საპატიო პრიზი, თუმცა ბოლოსწინა მატჩში ჩვენი ქვეყნის ნაკრები საშიშროების წინაშე აღმოჩნდა — ძალზე დაძაბული და დრამატული მატჩი ესპანელებთან ფრედ დამთავრდა — 20:20.

მეორე ადგილზე გავიდნენ რუმინელი ხელბურთელები, რომელთაც მაღალტექნიკური თამაშით მოხიბლეს თბილისელი მაყურებელი. საბჭოთა სპორტსმენების მსგავსად, მათაც ძნელ ორთაბრძოლაში დაამარცხეს ესპანელები (23:21) და

იხ. მე-3 გვ.

წარმოგიდგენთ კანდიდატებს

წლის საუკეთესო სპორტსმენი, გუნდი, მწვრთნელი

# რუსუდან ხოფერია



**პორტუგალიის** ქალაქ ბრაგაში ქართველმა ბატუტისტმა რუსუდან ხოფერიამ ოქროს (გუნდური), ვერცხლის (სინქრონულ ხტომებში) და ბრინჯაოს (ინდივიდუალური) მედლები მოიპოვა. ასეთი წარმატება ჩვენი ბატუტის ისტორიას არ ახსოვს. 48-ე სკოლის 15 წლის მეცხრე კლასის მოსწავლის რუსუდან ხოფერიას წლევანდელი წარმატება მარტო ამით არ შემოიფარგლა, საბჭოთა კავშირის თასზე სინქრონულ ხტომებში იგი ირინა სლონოვასთან ერთად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, მესამე იყო ინდივიდუალურ შეჯიბრებაში, შემდეგ მფრინავ კოსმონავტ დობროვოლსკის საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა გოგონამ მეორე ადგილი დაიკავა სინქრონულ ხტომებში, ხოლო ინდივიდუალურში კვლავ მესამე გახდა. იგივე შედეგი გაიმეორა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე. შვეიცარიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ბატუტის დამაარსებლის ნისენის თასზე ხოფერიამ სინქრონულ ხტომებში პირველი, ხოლო ინდივიდუალურში მესამე ადგილები დაიკავა. ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზე სინქრონულ ხტომებში იგი კვლავ უძლიერესი იყო.

ამ შედეგების მიხედვით რუსუდანი წლეულს პირველ-მეორე ადგილებს იყოფდა ნიკოლაეველ ელენა კოლომეეცთან ერთად.

პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ბატუტისტებს ხარკოვში ჰქონდათ შეკრება. სწორედ აქ უნდა გადაწყვეტილიყო იმ ოთხეულის ბედი, რომელიც კონტინენტის ჩემპიონატზე გაემგზავრებოდა. ეჭვს არ იწვევდა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონების ლუშინას და მერკულოვას კანდიდატურა, წლევანდელი შედეგების მიხედვით არც დანარჩენი ორი სპორტსმენის შერჩევა უნდა გაძნელებულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ რუსუდანის მეწყვილე სინქრონულ ხტომებში სლონოვა ავად გახდა, მისი გამგზავრება საეჭვო შეიქნა. ყველაფერი კენჭისყრამ გადაწყვიტა, მწვრთნელთა უმრავლესობამ უპირატესობა რუსუდანს მიანიჭა, თუმცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ შეჯიბრებაზე ხუთივე გოგონა გამგზავრებულიყო.

იხ. მე-2 გვ.

### ბუენ

სევილიაში უნდა გამართულიყო გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩის 23-ე პარტია, მაგრამ ვინაიდან მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა მესამე, უკანასკნელი ტაიმ-აუტი აიღო, ეს შეხვედრა ოთხშაბათს, 16 დეკემბერს გაიმართება. თეთრი ფიგურებით კარპოვი ითამაშებს.

შეგახსენებთ, მატჩის ანგარიში საყაიმოა — 11:11.

# კიდევ ერთი ვერცხლის ჯილდო

**მოსკოვი.** სპორტკომპლექს ოლიმპიისკის საცურაო აუზში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება სინქრონულ ცურვაში. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ სოლისტთა ვარჯიშებში თბილისელმა ლელა მამიაურმა ბრინჯაოს პრიზი მოიპოვა. ნიჭიერმა ქართველმა გოგონამ თანაგუნდელ ნინო გელაშვილთან ერთად კარგად იასპარეზა სინქრონულ ცურვაშიც. ამ სახეობაში გამარჯვება ოლგა და ტატიანა სედაკოვებს ხვდათ — 168,06 ქულა. ჩვენი თანამემამულეები კი მეორე ადგილზე გავიდნენ — 166,86 ქულა. მესამე შედეგი ალმაათელებს ვერონიკა და ვიქტორია ბაშკაევებს ხვდათ — 164,96 ქულა.

ასპარეზობის ბოლო სახეობაში — ჯგუფურ ვარჯიშებში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა იმარჯვეს. ამ გუნდმა (ოლგა ბელაია, ტატიანა ნიჩაევა, გალინა გორბუნოვა, სვეტლანა კრილინა, ტატიანა ლობაჩოვა და იულია ბელოგლაზოვა) 167,31 ქულა დააგროვა და 0,82 ქულით გაასწრო მოსკოვის ნაკრებს. მესამე ადგილზე ლენინგრადელი ფიგურისტები გავიდნენ — 162,32 ქულა.

საკავშირო თასის გათამაშება სინქრონულ ცურვაში

### საქართველოს პირველობა

**გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, 46-ე ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის.**

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 5:2, „ეგრისი“ (ცხაკაია) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:2, „დინამო“ (გაგრა) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 6;1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 5:4, „კახეთი“ (თელავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 5:2, „არმაზი“ (მცხეთა) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 8:0, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 0:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სულორი“ (ვანი) 1:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 2:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 6:1, გეგეჭკორში სათამაშოდ არ გამოცხადდა ბოლნისის „მადნეული“.

**მახარაძის „მერცხალმა“ 72 ქულა დააგროვა და საქართველოს 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავა. მახარაძელმა ფეხბურთელებმა 1988 წელს საკავშირო ჩემპიონატის II ლიგის საგზური მოიპოვეს.**



საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურში მახარაძის „მერცხალმა“ ანგარიშით 6:1 დაამარცხა წყალტუბოს „შადრევანი“ და მიუწვდომელი გახდა ხობის „კოლხეთისთვის“, რომელმაც ცხაკაიაში ფრედ (2:2) ითამაშა „ეგრისთან“.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს 1987 წლის ჩემპიონი ფეხბურთში მახარაძის „მერცხალი“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



# ჰონორარი— ბავშვთა ფონდს

**ლენინგრადის** სტანისლავსკის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სასახლეში გაიმართა ჭადრაკის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ტალი, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები არტურ იუსუპოვი და ირინა ლევიტინა, დიდოსტატი იური რაზუვაევი. საუბარი კასპაროვ-კარპოვის მატჩის პრობლემებს ეხებოდა. გთავაზობთ საღამოს ერთ-ერთი მონაწილის არტურ იუსუპოვის გამოსვლის შინაარსს:

დასაწყისში კასპაროვი ძალიან ცუდად თამაშობდა, ისეთი შეცდომები მოსდიოდა, მისთვის სრულიადაც რომ არ არის დამახასიათებელი. ვის ახსოვს მისი ასეთი წაგებული პარტიები?! პირველსავე მოულოდნელობას რომ წააწყდა (მეორე პარტიაში), მთელი საათნახევარი იფიქრა, რაც ნებისმიერი მოჭადრაკისთვის არანორმალურია. მეხუთე პარტიაშიც თითქმის იგივე განმეორდა. მეორეში მას საათის გადართვა დაავიწყდა. მეხუთის ბოლოს ეტლი „დაუსვა“ მეტოქეს, ასეთი შეცდომები წინათ კასპაროვს ელვისებურ, ხუთწუთიან პარტიებშიც კი არ მოსდიოდა. მსოფლიო პირველობის მატჩის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ წონასწორობას. ეტყობა, დასაწყისში კასპაროვმა იგი დაკარგა. მსოფლიო ჩემპიონმა არაერთხელ განაცხადა „კარპოვის პრობლემა“ გადაწყვეტილი მაქვსო, მაგრამ ეტყობა საკუთარ პრობლემას ვერა და ვერ მოუარა.

რაც შეეხება კარპოვის სტრატეგიას, იგი, ჩემი აზრით, ასეთია: ექსჩემპიონი ცდილობს კასპაროვს საშუალება მისცეს შეტევაზე გადავიდეს. თვითონ პირველსავე შემთხვევაში კონტრიერიშის წამოწყებას ცდილობს. ეს ტაქტიკა, შესაძლოა, კასპაროვისთვის მოულოდნელია. ფსიქოლოგია ამ მატჩში მეტად დიდ როლს ასრულებს...

საღამოს მონაწილეებმა მთელი მიღებული ჰონორარი ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდს გადაურიცხეს.



# ქეთევან არახამია დიდოსტატია!

**ახლახან სევილიაში მოეწყო ფიდე-ს მორიგი კონგრესი, რომელზეც საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა ქეთევან არახამიას. ვულოცავთ ახალგაზრდა თბილისელ მოჭადრაკეს ამ მაღალ ტიტულს და ვუსურვებთ წარმატებებს.**

## წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ფეხბურთში** — სერგეი არუთინიანს, ირაკლი გელენავას (ორივე — სოხუმი, განათლების სამინისტრო).



# მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა



იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურულ კოლექტივებში — რა აფერხებს მასობრივი სპორტის განვითარებას?

# „ენგურის“ შუქ-ჩრდილები

**ჯვარზენი თანამედროვე ტიპის მუშათა ქალაქია. აქ ენგურჰესის მშენებლები ცხოვრობენ. თაღოვანი კაშხალის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ ახლა აქცენტი ხუდონჰესის მშენებლობაზეა გადატანილი, ჯვარზენი მაინც ეპიცენტრად რჩება.**

**ენგურზე მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები, უზბეკები. მათ უკვე გაიყვანეს გვირაბები, გზები. ქალაქად აქციეს სოფელი ჯვარზენი. ჩვენ დავინტერესდით ენგურჰესის მშენებელთა საქმიანობით, კერძოდ, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობით და ჯვარზენს ვეწვიეთ.**

სპორტკლუბი „ენგური“ ქალაქის ცენტრში მდებარეობს. კლუბის ხელმძღვანელი სერგეი კუიმჯიანი ცოცხალი, ენერგიული კაცია. ყოფილი მოჭიდავე ახალგაზრდებს უზიარებს საკუთარ გამოცდილებას. მისი მეუღლე მარინე — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი — ფრენბურთელთა ჩინებული მწვრთნელია. სწორედ „ენგური“ წარმართავს მთელს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას საბერიოდან ხუდონჰესის მშენებლობამდე, მეტიც, მის განკარგულებაშია ოჩამჩირეში თუ სხვა ქალაქებში განლაგებული მუშათა საცხოვრებელი სახლები, საწარმოები და ა. შ. გასულ წელს „ენგურმა“ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, წელს საკავშირო პროფკავშირის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების საპატიო სიგელი მიიღო. სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში მოპოვებული სიგელები და ვიმპელები აქ ბევრი აქვთ. ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, ტურიზმის, ჭადრაკის, კრივის, ძალოსნობის ჯგუფებში სამასზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს. ამას წინათ მოსწავლე გოგონათა ფრენბურთელთა გუნდი, რომელსაც მარინე კუიმჯიანი ავარჯიშებს, რესპუბლიკურ პირველობაზე წალენჯიხის რაიონის სახელით გამოვიდა და პირველი ადგილი დაიკავა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურიზმიც. ამ საქმის ენთუზიასტს ზურაბ ნარსიას ყოველთვის რაღაც ახალი აქვს ჩაფიქრებული. ამას წინათ მისმა ჯგუფმა დაიპყრო უსახელო მწვერვალი, რომელსაც ტერენტი გრანელის სახელი უწოდა. აწყობენ მრავალდღიან ლაშქრობებს სამეგრელოსა და სვანეთის მთებში. დაუძლევიათ ისეთი რთული მარშრუტი, როგორიცაა ჯვარზენი—ადლერი — კრასნაია პოლიანა — რიწა — ჯვარზენი. დიდი კონკურსი იმართება რიტმული ტანვარჯიშის ჯგუფში ჩასარიცხთა შორის. ამ ჯგუფს მსახიობი ვერა ცაგურია უძღვება. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კლდეზე მცოცავთა ბრიგადის ბრიგადირი ნიგუს აკობია ფეხბურთის დიდი მოყვარულია. ჯვარზენის პირველობაზე მან თითქმის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა.



ჩვენ რომ ვესტუმრეთ, სერგეი კუიმჯიანი და სპორტკომპლექსის დირექტორი რაფიელ მებონია ბავშვთა სპორტული მოედნის „ნადეჟდას“ მაკეტს დასტრიალებდნენ. წუხდნენ, დახაპირებს დროზე არ ასრულებენ შრომითი კოლექტივები. მართლაც საინტერესო პროექტია. მოედანზე, რომელიც საცხოვრებელი სახლების ახლოს შენდება, მოზრდილებთან ერთად პატარებიც ითამაშებენ. მათთვის საქანელები, სახტომი ორმოები გაკეთდება. ჯერჯერობით აქ მხოლოდ მოასფალტებული ადგილია და პატარები მოუთმენლად ელიან მშენებლების გამოჩენას, მაგრამ ისინი იგვიანებენ.

**ჯვარზენში მხოლოდ ერთი სტადიონი აქვთ, სადაც კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანია. ეს არის და ეს. სხვა სპორტული ბაზა 10-ათასიან მუშათა ქალაქს არ გააჩნია,** თუ არ ჩავთვლით საშუალო სკოლის სპორტდარბაზს, რომელიც ბავშვებსაც კი ველარ აკმაყოფილებს: გასახდელ ოთახში შმორის სუნი ტრიალებს, შუქიც არ არის. **რამდენიმე წლის წინათ აქ სპორტკომპლექსის მშენებლობა წამოიწყეს, ნახევრად აშენებულ კედლებს ქარი და წვიმა ანგრევს, შლის, საცურაო აუზი ნაგვით არის სავსე.**

— როცა ჯვარზენს [illegible]დნენ, მაშინ არავის უფიქრია სპორტული ბაზების მშენებლობაზე, — თქვა სერგეი კუიმჯიანმა, — დღეს კი ვხვდებით, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ უკვე გვიანაა. **სპორტკომპლექსის მშენებლობა შეჩერებულია.** მაგრამ ვერც ეს კომპლექსი დააკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. საჭიროა აშენდეს სპორტ-



მიუხედავად იმისა, რომ **სტადიონზე არც შხაპია და არც გასახდელი,** სპორტული თამაშების და ფიზკულტურის მოყვარულები მაინც იკრიბებიან, მაგრამ იმის გამო, რომ ბაზა კეთილმოუწყობელია, **ფასიანი ჯგუფების გახსნა შეუძლებელია.**

კლუბი 14 პირველად ფიზკულტურულ ორგანიზაციას აერთიანებს. ასეთი ორგანიზაციები შექმნილია იქ, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 500-ზე მეტია. საკუთარი ბაზა მხოლოდ მიწისქვეშა ნაგებობათა სამმართველოს და კაშხალმშენს აქვს, სხვა ორგანიზაციები მათ იმედზე არიან ან ჯვარზენის ბაზას იყენებენ. ნუთუ აქამდე არავის მოსვლია აზრად ქალაქში სპორტდარბაზი აეშენებინა? სკოლის დარბაზში მუშები როგორ ივარჯიშებენ?

**ზამთარი დადგა, მაგრამ ერთი წუთით არ შეწყდება მუშაობა კაშხალზე და ხუდონჰესზე, ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა კი ოთახში გამოიკეტება.**

სკოლა, სპორტდარბაზი, **საბერიოს ბაზაზე აღორძინდეს საწყლოსნო სპორტი.** მაგრამ საქმე ის არის, რომ ფიზკულტურულ მუშაკთა **კადრები არ გვყოფნის.** ალბათ ეს არის იმის მიზეზი, საქმეს ადგილიდან რომ ვერ ვძრავთ.

ენგურჰესს, ამ საკავშირო მნიშვნელობის ობიექტს ახალგაზრდები აშენებენ. ნუ დაგვავიწყდება, რომ მათ შრომის შემდეგ გართობა-დასვენება სჭირდებათ. სიამოვნებით ითამაშებენ ფეხბურთს, ფრენბურთს, ივარჯიშებენ, ირბენენ, საამისო პირობები რომ ჰქონდეთ. ვიმეორებთ, პირობები რომ ჰქონდეთ...

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ასე გამოიყურება საცურაო აუზი და დაუმთავრებელი მშენებარე სპორტკომპლექსი.**

---

# რუსუდან ხოფერია

(დასასრული)

ჩემპიონატის შედეგების შესახებ უკვე ვიუწყებოდით, მაგრამ ტექნიკური შედეგების მიღმა ყოველთვის არის რაღაც საინტერესო, სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ რუსუდან ხოფერიას შევხვედროდით.

● **რუსუდან, კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგებით?**

—ერთ შეჯიბრებაში ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მოპოვების შემდეგ უკმაყოფილების გამოთქმა უმადურობა იქნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემს ასაკში უფრო მეტზე ოცნებობენ.

● **რუსუდან, როგორც მწვრთნელებისაგან ვიცოდით, მხოლოდ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში უნდა გამოსულიყავი?**

— შეჯიბრების წინა დღეს ვარჯიშზე კოლომეეცის მეწყვილემ ბლუდოვამ წელი იტკინა, ამის გამო მე და კოლომეეცი უნდა გამოვსულიყავით, მაგრამ მწვრთნელები იმედოვნებდნენ, რომ ტრავმა გაუვლიდა და ამიტომაც კოლომეეცსა და მე აღარ გვივარჯიშია. სინქრონული ხტომების დაწყების წინ ირინას კიდევ ერთხელ შეეკითხნენ შეძლებდა თუ არა ასპარეზობას, მაგრამ მან საბოლოოდ უარი თქვა. ასე რომ, ყოველგვარი შემზადების გარეშე მე და კოლომეეცი შეჯიბრებაზე გამოგვიყვანეს. ამას ისიც დაემატა, რომ მე და ჩემი მეწყვილე ვერ შევთანხმდით რომელი პროგრამით გვეასპარეზა და ამის გამო ორივემ ცოტა წავიტირეთ კიდეც. სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით ისე ვერ ავეწყვეთ, თუმცა მხოლოდ ლუშინა-მერკულოვა და ინგლისელთა წყვილი ჰოლმს-ჰელფრიდი გვისწრებდნენ. ამასობაში მე და კოლომეეცმა საერთო ენა გამოვნახეთ და ფინალურ ვარჯიშში ყველაზე მაღალი ქულები მივიღეთ. საერთო ჯამში ამან მხოლოდ ერთი ადგილით დაგვაწინაურა. ევროპის ჩემპიონები ლუშინა და მერკულოვა გახდნენ. მესამე ადგილზე ინგლისელები გავიდნენ.

● **როგორ წარიმართა ბრძოლა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში?**

— სავალდებულო პროგრამით, როგორც მწვრთნელებმა მითხრეს, კარგად გამოვედი, მიუხედავად ამისა, მეოთხე ადგილზე ვიყავი. ჩემს წინ იყვნენ ლუშინა, მერკულოვა და კოლომეეცი. ჩვენს შორის ერთი მეათედი ქულა იყო განსხვავება. ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობისას ყველაზე მეტი ქულა მივიღე და მეორე-მესამე ადგილს ვიყოფდი კოლომეეცთან. ფინალში მწვრთნელებმა მოულოდნელად ბოლო ელემენტი შემიცვალეს, რამაც უარყოფითად იმოქმედა ჩემზე და მთელი შესაძლებლობებით ვერ გამოვედი. უფრო მეტი შეცდომა მოუვიდა სლონოვას, სამაგიეროდ ბრწყინვალედ იასპარეზა კოლომეეცმა და მსოფლიოს ჩემპიონი იძულებული გახდა ევროპის ჩემპიონობა მისთვის დაეთმო. მე, როგორც იცით, ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

● **მომავალში რომელი შეჯიბრებები გელის?**

— ყველაზე მთავარი შეჯიბრება — მსოფლიო ჩემპიონატი — მაისში გაიმართება. ახლა ჩემი მიზანია: კარგ სპორტულ ფორმაში ვიყო, რათა ამ შეჯიბრებაში გამგზავრების უფლება მოვიპოვო...

---

## მოკლედ

წალენჯიხაში ორ თვეს მიმდინარეობდა რაიონის პირველობა ფეხბურთში წარმოება-დაწესებულებათა გუნდებს შორის. წალენჯიხის რაიონის ცენტრალურ სტადიონზე ეს საინტერესო შეჯიბრება უკვე მესამე წელია ტარდება.

ფინალში ერთმანეთს განათლების განყოფილებისა და ფაბრიკების გაერთიანების გუნდები შეხვდნენ, საინტერესო ბრძოლა დამთავრდა მასწავლებელთა გამარჯვებით — 2:1.

**გ. მებონია,**
**წალენჯიხის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

---

ჩემპიონატის ექო

# მოსწავლე უსწრებს მასწავლებელს

**„ლელოს“ მკითხველები თითქმის მთელი თვის მანძილზე ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ლვოვში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის I ლიგის ტურნირს. ეს ინტერესი გასაგებიცაა — უკრაინის ამ ქალაქში ხომ ორი თბილისელი მოჭადრაკე მონაწილეობდა, საერთაშორისო დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი და 17 წლის ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ლაშა ჯანჯღავა. სხვათა შორის, 17 წლის ასაკში მანამდე ჩვენი რესპუბლიკის არც ერთ წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა I ლიგის ტურნირში. ეს თავისთავად, ჭაბუკი ოსტატის დიდი მიღწევა იყო, მაგრამ თურმე მოჭადრაკე და მისი მწვრთნელი სულაც არ ფიქრობდნენ მხოლოდ საპარესტიჟო ტურნირში მონაწილეობით დაკმაყოფილებულიყვნენ, მათ სხვა „ამბიციებიც“ ამოძრავებდათ.**

**ლვოვიდან** დაბრუნებისთანავე რედაქციაში გვეწვია ლაშა ჯანჯღავას მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი **ალექსანდრე ბოკუჩავა.** ქვემოთ სწორედ მასთან საუბრის ჩანაწერს გთავაზობთ.

— როგორც იცით, I ლიგის ტურნირს ნახევარფინალური შეჯიბრებები უძღოდა წინ, — გვითხრა ა. ბოკუჩავამ, — ამ ტურნირში ლაშამ თუმცა ვერ მოიპოვა I ლიგის საგზური, მაგრამ იგი მხოლოდ დამატებითი კოეფიციენტით ჩამორჩა პიგუსოვს, რომელსაც უფრო გაუმართლა და I ლიგის ტურნირის პირველ კანდიდატად ითვლებოდა. ხშირად ერთი ან რამდენიმე მოჭადრაკე სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობს ხოლმე შეჯიბრებაში მონაწილეობაზე და ჯგუფის შესავსებად კანდიდატებს უხმობენ. ჩვენც ამის იმედით ვიყავით და ამიტომაც ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით. როგორც იტყვიან, ბედმა გაგვიღიმა და ლვოვის ტურნირში სათამაშოდ გამოგვიძახეს. ეს შეჯიბრება მონაწილეთა სიძლიერის მხრივ მეორე-მესამეა საბჭოთა კავშირში. ამ ტურნირშიც ბევრმა ძლიერმა მოჭადრაკემ მოიყარა თავი — თორმეტი მონაწილიდან რვა დიდოსტატი და ოთხი საერთაშორისო ოსტატი იყო. პირველ ტურებში ვღელავდით. სტარტი იმიტომაც გვაშინებდა, რომ პირველ პარტიებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტურნირის შემდგომი მსვლელობისთვის და წარმოიდგინეთ, რა მნიშვნელობა ექნებოდა მას დებიუტანტისთვის.

II ტურში, ლენინგრადელ საერთაშორისო ოსტატ ლეონიდ იუდასინთან მწვავე ბრძოლის შემდეგ ახალგაზრდა ოსტატმა დათმო პარტია. წაგების ერთ-ერთი მიზეზი, ვფიქრობ, სასტარტო მღელვარება იყო. თუმცა, აქვე გამოავლინა ჯანჯღავამ მეტად კარგი თვისება — შეუპოვრობა. მან გული არ გაიტეხა, ძალ-ღონე მოიკრიბა და მომდევნო ტურშივე დაამარცხა ჩელიაბინსკელი დიდოსტატი ალექსანდრე პანჩენკო. სხვათა შორის, ეს ამ მეტოქეების მეორე შეხვედრა იყო, პირველად ისინი წელს მარტში, ბაქოში დადგნენ ერთმანეთის პირისპირ, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების საკავშირო გუნდურ ფინალურ შეჯიბრებაში „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პანჩენკო მაშინ სეანსიორი იყო.



V ტურში ლაშა კადეტთა შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ფიდე-ს ოსტატ ალექსანდრე დრეევს (მოსკოვის ოლქი) ხვდებოდა. ეს პარტია ქართველი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა. ასე რომ, სტარტზე ორმა გამარჯვებამ ძალა შემატა ლაშას და შემდგომ ტურებში მან შესანიშნავად ითამაშა. საბოლოოდ ჯანჯღავამ მაღალი, პრაქტიკულად მაქსიმალური შედეგი აჩვენა — VII ადგილი დაიკავა.

● **ალბათ შეიძლება რომელიმე პარტიის გამოყოფა...**

— როგორ არა, ლაშას საინტერესო პარტიები ჰქონდა გურევიჩთან, გავრიკოვთან, რომანიშინთან, პანჩენკოსთან. წაგების მიუხედავად, მომეწონა ჩერნინთან ნათამაშევი პარტიაც.

● **რა შეხძინა ამ შეჯიბრებამ თქვენს აღსაზრდელს?**

— ბევრი რამ; რაც მთავარია, ლაშამ დაფასთან ბრძოლა ისწავლა. თამაშის დროს იმდენ სიახლეს აწყდებოდა, რომ უშუალოდ იქვე, დაფასთან უნდა გადაეწყვიტა პრობლემები. ამ ტურნირმა ლაშას კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა გამოამჟღავნა — მძიმე პარტიების გადარჩენის უნარი. ეს კი უთუოდ მოჭადრაკის მაღალი კლასის ნიშანია.

● **გენადი ზაიჩიკის შესახებ ხომ არაფერს გვეტყვით? რატომ გამოვიდა თბილისელი დიდოსტატი ასე სუსტად?**

— გენადი ძალიან მონდომებით ემზადებოდა ამ ტურნირისთვის, მაგრამ სპორტულმა იღბალმა უმტყუნა, სტარტზე ზედიზედ წააგო რამდენიმე პარტია და მერე ველარ შეძლო თავისი ძალების მობილიზება.

● **I ლიგის ტურნირში ლაშა ჯანჯღავას მიერ დაკავებული VII ადგილი სპეციალისტებმა წარმატებად მიიჩნიეს...**

— ასეც არის. თანაც ლაშამდე ამ ასაკში არავის რვებია ასეთი პარტიები — მხოლოდ მე ვითამაშე 1964 წელს, ოღონდ მაშინ I ლიგა არ არსებობდა, ამ ტურნირს საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება ერქვა. მაგრამ მე მაშინ XI ადგილი დავიკავე, ჯანჯღავამ კი VII. ასე რომ, შეგირდმა გამისწრო. ჩემი აზრით, ლაშასგან მომავალშიც დიდ წარმატებებს უნდა ველოდოთ.

ესაუბრა
**დავით ტატიშვილი.**

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ—90

# ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲬᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐ

**12 დეკემბერს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაზე ციურიხში (შვეიცარია) შედგა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა.**

სადღეისოდ რედაქციამ მიიღო მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა გუნდების წილისყრის შედეგები.

კონტინენტზე სულ შექმნილია 7 ჯგუფი:

**I ჯგუფი.** დანია, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი.

**II ჯგუფი.** ინგლისი, პოლონეთი, შვეცია, ალბანეთი.

**III ჯგუფი.** სსრ კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ავსტრია, ისლანდია, თურქეთი.

**IV ჯგუფი.** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია, უელსი, ფინეთი.

**V ჯგუფი.** საფრანგეთი, შოტლანდია, იუგოსლავია, ნორვეგია.

**VI ჯგუფი.** ესპანეთი, უნგრეთი, ჩრდილოეთ ირლანდია, ირლანდია, მალტა.

**VII ჯგუფი.** ბელგია, პორტუგალია, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, ლუქსემბურგი.




ჯგუფებიდან, სადაც 5-5 გუნდია გაერთიანებული, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობას მიიღებენ პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები, ხოლო ჯგუფებში, სადაც 4-4 გუნდია თავმოყრილი, ფინალის საგზურს მიიღებს მხოლოდ გამარჯვებული გუნდი. ამავე ჯგუფებიდან ფინალში გავლენ კიდევ ისინიც (2 ადგილი), რომლებსაც მეორე ადგილებზე გასულ გუნდებს შორის უკეთესი მაჩვენებლები ექნებათ.

წილისყრა მოხდა, აგრეთვე, სამხრეთ ამერიკის, აზიის, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის, აფრიკისა და ოკეანიის სახელმწიფოთა გუნდებისთვის.

საქართველოს ტელევიზიამ გასულ კვირას, 13 დეკემბერს, გადაცემაში „45 წუთი" აჩვენა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის მსვლელობა. ეს იყო მეტად საინტერესო სანახაობა, წილისყრა მიმდინარეობდა არა დახურულ კაბინეტში, არამედ დიდ საკონცერტო დარბაზში, მას მრავალი მაყურებელი ჰყავდა. გარდა ამისა, წილისყრის ცერემონია მრავალმა ქვეყანამ მიიღო ტელევიზიით. ეს, მართლაც, შესანიშნავი სანახაობა იყო. წილისყრას ესწრებოდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი, ფიფა-ს ოფიციალური წარმომადგენლები. წილისყრაში უშუალოდ მონაწილეობდნენ გამოჩენილი ფეხბურთელები პელე, მიშელ პლატინი და პაოლო როსი, საქვეყნოდ ცნობილი მომღერლები.

ჩვენი ტელევიზიის ხელმძღვანელობას მადლობის მეტი არაფერი ეთქმის ამ მეტად საინტერესო გადაცემის ორგანიზაციისთვის. იმედი გვაქვს სპორტის მოყვარულთ იგი კვლავ აჩვენებს მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის ცერემონიალს.



# ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავეს.

მესამე ადგილი წილად ხვდა პოლონეთის ნაკრებს, რომელმაც ბოლო დღეს გადამწყვეტი მატჩი დათმო საბჭოთა გუნდთან — 20:32.

ქართველ ხელბურთელთა გუნდი ამ პრესტიჟულ ტურნირში მხოლოდ მე-7 ადგილზე გავიდა. ჩვენი ხელბურთელების გამოსვლას ტურნირის მეორე ნახევარში ნაჩვენები თამაშით თუ შევაფასებთ, ეს შედეგი კანონზომიერი იყო. ორი შთამბეჭდავი სასტარტო მატჩის შემდეგ, მომდევნო შეხვედრები მათ უფერულად ჩაატარეს, რაც ძალზე უსიამოვნო სიმპტომია მოახლოებული საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის წინ. ბულგარეთის (21:30) და გფრ-ის ხელბურთელებთან (24:25) განცდილი მარცხი დამაფიქრებელია. ვიმედოვნებთ, ეს წარუმატებლობა გაკვეთილი იქნება თბილისელთათვის.

წინა წლებში ჩატარებულმა ტურნირებმა მრავალი პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა. ასე იყო ამჯერადაც. ვფიქრობთ, ახალგაზრდა დავით გიორგაძის სახით თბილისის „ბურევესტნიკს" იმედისმომცემი ხელბურთელი შეემატა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი სპორტიდან გააცილა თბილისის „ბურევესტნიკის" აღიარებული ლიდერები, ქართული ხელბურთის მესამე თაობის წარმომადგენლები — ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე ანპილოგოვი, ჯემალ ბარამიძე, ამირან კომახიძე, ამბერკი ტაბიძე და დიმიტრი აბესაძე.

გაგაცნობთ ტურნირის ბოლო დღეს გამართული მატჩების ტექნიკურ შედეგებს: ბულგარეთი—იუგოსლავია 28:17 (14:9), გფრ — საქართველო 25:24 (10:10), რუმინეთი — ესპანეთი 23:21 (9:10), სსრკ — პოლონეთი 32:20 (17:11.)

საბოლოოდ გუნდები ამ თანმიმდევრობით განაწილდნენ სატურნირო ცხრილში: 1. სსრკ, 2. რუმინეთი, 3. პოლონეთი, 4. ესპანეთი, 5. გფრ, 6. ბულგარეთი, 7. საქართველო, 8. იუგოსლავია.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სტუმრებს ვთხოვეთ შეეფასებინათ ტურნირი, მისი ორგანიზაციული მხარე.

აი, რა განაცხადა ვიაჩესლავ კამინსკიმ — პოლონეთის ხელბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა: „ტურნირი ძალიან სასარგებლოა სპორტსმენებისთვის — იგი ტარდება საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისათვის მზადების პერიოდში. თბილისში ჩვენი ნაკრების ყველა წევრი გამოვცადეთ და მეტოქეთა თამაშსაც დავაკვირდით. საწყენია, რომ ტურნირის ყველა მონაწილე ქვეყანამ უძლიერესი გუნდები არ გამოგზავნა. პირველად ოცდახუთი წლის წინ ვიყავი თბილისში, მაშინ შესანიშნავად თამაშობდა თქვენი ქალაქის გუნდი, ახლა კი აშკარად მოისუსტებს, არადა, ასეთი შესანიშნავი ტურნირის მასპინძელს მეტი მოეთხოვება".



ვესელინ პენჩევი, ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი — „ჩემი აზრით, ასეთი ტურნირები იშვიათია. შეჯიბრება მართლაც მშვენივრად იყო ორგანიზებული. მაგრამ, ვფიქრობ, საბჭოთა კავშირის ხელბურთის ფედერაციას მეტი ყურადღება მართებს — ასეთ პრესტიჟულ ტურნირში მხოლოდ ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა უნდა იასპარეზონ, თორემ რა გამოდის:. ზოგიერთი ქვეყანა უძლიერეს გუნდს გზავნის, ზოგი კი საკლუბოს".

**ჯემალ აბაიშვილი,**
**სპორტის ხაპატიო ოსტატი.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ტურნირში გამარჯვებული სსრ კავშირის ნაკრები; ქვევით — თამაშობენ საქართველოს და გფრ-ის გუნდები. ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტოები.

# ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲗᲐᲡᲘ—„ᲞᲝᲠᲢᲝᲡ"

საკონტინენტთაშორისო თასი ფეხბურთში ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო საკლუბო გუნდებს შორის მუდამ საერთაშორისო საფეხბურთო წრეების ყურადღების ცენტრში იმყოფება. ეს მეტად საინტერესო შეჯიბრება ბოლო წლებში იაპონიის დედაქალაქში იმართება, ასე იყო წლეულსაც. საპატიო პრიზის მოსაპოვებლად ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი „პენიაროლი" (ურუგვაი, მონტევიდეო) და „პორტო" (პორტუგალია, პორტუ).

ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონზე მატჩის დღეს, 13 დეკემბერს, ყველაფერი შეიძლებოდა ფეხბურთის თამაშის გარდა: ციოდა, თოვლისა და ყინულის გამო სათამაშო მინდორი დიდ სიძნელეებს უქმნიდა ფეხბურთელებს.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. პორტუგალიელებმა დამატებით დროში გაიტანეს კიდევ ერთი ბურთი, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და დაეუფლნენ საკონტინენტთაშორისო თასს.

## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, მასში სსრ კავშირიდან მონაწილეობს დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა პირველ ტურში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს უნგრეთის „დოჟა-უიპეშტი", მეორე ტურში კი მარცხი განიცადეს სამხრეთ კორეის ნაკრებთან — 1:2.

## ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ — ᲒᲤᲠ — 1:1

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში თავის მინდორზე მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

# ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲘ—ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲨᲘ

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საქართველოს საფეხბურთო პირველობის II ჯგუფის გუნდებს შორის წარმატებას მიაღწია ჭიათურის „მაღაროელმა" და ახმეტის „ბახტრიონმა", 1988 წლის საფეხბურთო სეზონში ორივე გუნდი საქართველოს პირველობის პირველ ჯგუფში იასპარეზებს.

ამ დღეებში გამარჯვებულ გუნდებს სტუმრად ეწვივნენ თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელები. დინამოელებმა გამარჯვება მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს ჭიათურელ და ახმეტელ ფეხბურთელებს. შემდეგ გამართეს საჩვენებელი მატჩები ჭიათურასა და ახმეტაში.

ჭიათურის „მაღაროელთან" შეხვედრაში თბილისის „დინამოს" ვეტერანებმა გაიმარჯვეს, 2:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მანუჩარ მაჩაიძემ და ლევან ნოდიამ. შეხვედრა ახმეტაში ფრედ — 2:2 დამთავრდა. დინამოელთაგან ბურთები ძმებმა ნოდიებმა გაიტანეს.

ამ ორ შეხვედრაში დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო: რ. ურუშაძე, დ. გოგია, ბ. სიჭინავა, ვ. ქორიძე, გ. ჭილაძე, ა. ილიადი, დ. ხუნდაძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ს. მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია, ბ. ბჭედლიშვილი, ზ. ებრალიძე, თ. კოსტავა, დ. მუჯირი, მ. დავარაშვილი, ლ. ჟორდანია.

**ᲘᲚᲘᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲨᲘ

# ᲬᲘᲜᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

## ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲐᲗᲚᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

**ქალაქ იეევსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში — ცალკეულ ვარჯიშებში ჩვენი რესპუბლიკის ხუთმა ძალოსანმა იასპარეზა. მკითხველებს გვინდა შევახსენოთ, რომ ორი წლის წინ ანალოგიური შეჯიბრების შედეგების მიხედვით შეიქმნა ა და ბ ჯგუფები. ორივე ჯგუფი შეჯიბრებაში ერთად ასპარეზობს, ოღონდ ა ჯგუფს ათი ძალოსნის გამოყვანის უფლება აქვს, ხოლო ბ ჯგუფს — ხუთის (სწორედ ამ წესის მიხედვით იყო განსაზღვრული ჩვენი გუნდის წევრთა რაოდენობა). აქვე ისიც უნდა განვმარტოთ, რომ ბ ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ა ჯგუფში ბოლო ორ ადგილს იკავებენ.**

იჟევსკში გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ამირან ჭიტაძე ამბობდა, რომ გუნდი უფრო ძლიერ ა ჯგუფში გადავიდოდა. ამირანმა სიტყვა შეასრულა, ჩვენმა წარგზავნილებმა წარმატებით იასპარეზეს ქვეჯგუფში — მეორე ადგილი დაიკავეს და გაისად სომხეთის გუნდთან ერთად ა ჯგუფში გამოვლენ. თუ როგორ წარიმართა ასპარეზობა, ამის შესახებ ამირან ჭიტაძეს მოვუსმინოთ.

— ყველაზე ღირსშესანიშნავი ამ შეჯიბრებაზე ის მოხდა, რომ 75 კგ წონითი კატეგორიის რუსთაველმა ძალოსანმა ხანარ ნაბიევმა (მწვრთნელები ვახტანგ ლობჟანიძე და ამირან ჭიტაძე) საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ხანარმა 5-5 კილოგრამით გააუმჯობესა პირადი შედეგები როგორც ატაცში (147,5 კგ), ისე აკვრაში (187,5 კგ), თუმცა VI ადგილი დაიკავა. ძალიან ახლოს იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებასთან 18 წლის ცხინვალელი ძალოსანი კახი კახიაშვილი (82 კგ), თავისი პირადი რეკორდი — 165 კგ (ეს წონა საკავშირო რეკორდია) რომ გაემეორებინა. სამწუხაროდ, მწვრთნელებმა, როგორც ჩანს, ზედმეტად ვიფრთხილეთ და ატაცში ასპარეზობა 150 კილოგრამით დავაწყებინეთ. კახი დღეს კარგ სპორტულ ფორმაშია და მეტი ნდობა უნდა გამოგვეჩინა. 150 კგ-ის დაძლევის შემდეგ მან 157 კილოგრამი ასწია და მესამე ცდაზე 165,5 კგ-ზე ანუ ჭაბუკთა საკავშირო რეკორდზე მიიტანა იერიში. შტანგა

იხ. გვ.-4 გვ

# წინგადადგმული ნაბიჯი

(დასასრული)

კარგად აიტაცა, მაგრამ წონა ვერ დააფიქსირა. ორი ცდა რომ ჰქონოდა, ალბათ მოერეოდა. მიუხედავად ამისა, სპორტსმენს გული არ გაუტეხია, 200,5 კგ აჰკრა და საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. გარდა ამისა, ორჭიდში მან ჭაბუკთა რეკორდი 2,5 კგ-ით გააუმჯობესა.

**⊙ ეს შედეგი, თუ არ ვცდები, საქართველოს რეკორდს, რომელიც თქვენ ხუთი წლის წინ დაამყარეთ 5 კილოგრამით აღემატება...**

— კი, მაგრამ კახის რეკორდი ამ მხრივ უფრო შთამბეჭდავია. მან ხომ მოზრდილთა შედეგი გააუმჯობესა. ალბათ გაინტერესებთ როგორ იასპარეზა საქართველოს რეკორდსმენმა, ზემძიმე წონის ათლეტმა, სახერელმა კობა ტალახაძემ. კობამ ჩვენს ძალოსნებს შორის ყველაზე მეტად იყოჩაღა — IV ადგილი დაიკავა. მან 182,5 კგ აიტაცა და რესპუბლიკის რეკორდი 2 კგ-ით გააუმჯობესა. სამწუხაროდ, კობამ კარგად აიტაცა, მაგრამ ვეღარ დააფიქსირა 187 კგ-იანი შტანგა, რაც, ცხადია, ტექნიკური მოუმზადებლობის შედეგია. აკვრაში 212,5-კგ-ის აწევის შემდეგ მესამე ცდაზე მან იერიში საქართველოს რეკორდზე — 222 კგ-ზე მიიტანა. ეს წონა მკერდზე მსუბუქად აიტანა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. ამ შეჯიბრებაზე სათანადო მომზადება ვერ გვიჩვენეს ჩვენმა ძალოსნებმა ზურაბ ჯაფარიძემ (56 კგ წონითი კატეგორია) და ელგუჯა მინაძემ (67 კგ), მათ შესაბამისად XIV და VII ადგილები დაიკავეს. ზურაბმა ორჭიდში პირად მიღწევას 14 კგ დააკლო, ხოლო ელგუჯამ 10 კგ-ით ნაკლები ასწია.

დავძენთ, რომ საკავშირო თასის გათამაშებაში საქართველოს ძალოსნების გამოსვლა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. კარგა ხანია ჩვენს ძალოსნებს ასეთი წარმატებით არ უასპარეზიათ. ეს ძირითადად იმან განაპირობა, რომ გუნდში გამოჩნდნენ ნიჭიერი ათლეტები, რომელთა დაოსტატებას კარგად უძღვებიან ახალგაზრდა მწვრთნელები.

**ჯემალ ქასრაძე.**

# ისევ ჯეკი ჯოინერი

მსოფლიოს 1987 წლის ჩემპიონი მძლეოსნურ შვიდჭიდსა და სიგრძეზე ხტომაში ჯეკი ჯოინერ-კირსი პირველი ამერიკელი მძლეოსანია, რომელსაც ზედიზედ მეორედ მიენიჭა ერთ-ერთი საპატიო ჯილდო — ჯესი ოუენსის სამახსოვრო პრიზი.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა რეფერენდუმი მოიგო სხვა გამოჩენილ ამერიკელ სპორტსმენებთან (კარლ ლუისი, მაიკ კონლი, ედვინ მოზესი და გრეგ ფოსტერი) ბრძოლაში. პრიზი გამარჯვებულს აშშ-ის ათლეტთა კონგრესმა მიანიჭა.



ადამიანი და ცხენი! წარმოუდგენელია ისინი ურთმანეთოდ. აკი უხსოვარი დროიდან ერთად მოაბიჯებენ ისტორიის გრძელ გზაზე. კაცობრიობა ვალშია ბუნების ამ უმშვენიერესი ქმნილების წინაშე. ამბობენ, ცხენს ადამიანის ენა ესმისო. თუმცა, ისინი უთქმელადაც უგებენ ერთმანეთს. ეს სურათიც, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ალბათ ამ ჭეშმარიტების უტყუარი საბუთია.

## ტელეტაიპი-მკითხველი

**ბუქარესტი.** ცსკა-ს ფრენბურთელმა ვაჟებმა ევროპის ჩემპიონთა თასის საპასუხო შეხვედრაში ადგილობრივი „სტიაუა" დაამარცხეს — 3:0 (15:10, 15:11, 15:8) და გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

**ლეიკ-პლესიდი.** ტრამპლინიდან ხტომაში მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა სამთო-მოთხილამურემ პაველ პლოცმა მოიგო. 90-მეტრიან ტრამპლინზე მან 105 და 107 მეტრიანი ნახტომები შეასრულა. მეორე ადგილი გფრ-ის წარმომადგენელმა დიტერ ტომამ დაიკავა (103 და 101 მეტრი), მესამე — მისმა თანამემამულემ ანდრეას ბაუერმა (104,5 და 100 მეტრი). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი — XI ადგილი ანდრეი ვერევიკინს ჰქონდა — 103 და 95 მეტრი.

**შტრებსკო პლესო (ჩეხოსლოვაკია).** ოლიმპიური სეზონის ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო შეჯიბრება სათხილამურო ორჭიდში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ავსტრიისა და შვეიცარიის ორჭიდელები.

**იგლსი (ავსტრია).** ბობსლეისტთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე მსოფლიო ჩემპიონებმა შვეიცარიიდან — რალფ პისლერმა და ედგარ დიტშემ მეორე ადგილი დაისაკუთრეს. გამარჯვება კი რიგელ იანის კიპურსს და მოსკოველ ვლადიმერ კოზლოვს ხვდათ.

**სარაევო.** აქ ოლიმპიურ ტრასაზე გაიმართა მოციგავეთა მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი. ერთეულებში გამარჯვება ლენინგრადელებმა იური ხარჩენკომ და იულია ანტიპოვამ მოიპოვეს. ორადგილიან ეკიპაჟებშიც წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს — ევგენი ბელოუსოვს და ალექსანდრე ბელიაკოვს ხვდათ.

**სანტა-კლარა (კუბა).** ადგილობრივი და ამერიკელი მოკრივეების ტრადიციული შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 9:1.

# „სკუადრა აძურა"—ამერიკაში

**საბჭოთა** კავშირის კალათბურთელთა ნაკრების მსგავსად ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურნე გამართა იტალიის ნაკრებმა. „სკუადრა აძურას" ისტორიაში ეს მეორე ამერიკული ტურნეა. პირველი გაიმართა 1983 წელს. იტალიის ნაკრებმა ერთი მატჩი მოიგო და ხუთი წააგო. მეორე ტურნეს შედეგები ოდნავ უკეთესია. იტალიელებმა ორი მატჩი მოიგეს და ოთხიც წააგეს.

პირველ მატჩში „სკუადრა აძურა" შეხვდა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის გუნდს, რომელსაც სათავეში უდგას ზაგრების უნივერსიადაზე აშშ-ს სტუდენტური ნაკრების მწვრთნელი, მიკი კრუჟელნიცკი. მხოლოდ პირველ ტაიმში იყო თანაბარი ბრძოლა. 44:43 დაწინაურდნენ მასპინძლები. მეორე ნახევარში მათი უპირატესობა უფრო გამოიკვეთა — 98:79 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ფერი (24 ქულა) და სმითი (22). დამარცხებულთაგან რივი (24). მეორე მატჩში „სკუადრა აძურას" მეტოქე კანზასის გუნდი გახლდათ. პირველი ტაიმი ფრედ 41:41 დამთავრდა. მატჩის ბედი დანი მანინგის (41 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა. 88:82 გაიმარჯვა კანზასმა. დამარცხებულთა შორის შედეგიანობით გამოირჩეოდნენ რივი (31), მაგნიფიკო (18), მესამე მატჩი აიოვას უნივერსიტეტის გუნდთან მეტად დაძაბულ ხასიათს ატარებდა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. უკანასკნელ წამებზე რაფაელ ბრუნამონტის ზუსტმა ტყორცნამ მიზანს მიაღწია — 76:76. დამატებით დროში მასპინძლებმა მოიპოვეს ძალზე ძნელი გამარჯვება — 92:89. მეოთხე მატჩში იტალიის ნაკრების მეტოქე იყო დაუტონის უნივერსიტეტის გუნდი. ამჯერად გამარჯვება „სკუადრა აძურას" ხვდა წილად — 87:78 (45:41), ჯაკოპინიმ გუნდს 25 ქულა შესძინა. დელ ანჯელის ანგარიშზეა 18 ქულა. იტალიელებმა კიდევ ორი მატჩი გამართეს კალათბურთის სამშობლოში, ერთი მოიგეს და ერთიც წააგეს.

„სკუადრა აძურას" შესახებ საუბარი ერთი ინფორმაციით გვინდა დავასრულოთ. იტალიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე კვლავ დაბრუნდა ცნობილი სპეციალისტი ალესანდრო გამბა.

იტალიის ნაკრების ყველაზე დიდი წარმატებები, სწორედ, ამ მწვრთნელის სახელთანაა დაკავშირებული. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადაზე მოპოვებული ვერცხლის მედლები და ბრწყინვალე გამარჯვება ევროპის ჩემპიონატზე საფრანგეთში 1983 წელს. ევროპის 1985 წლის ჩემპიონატის შემდეგ, სადაც „სკუადრა აძურას" ბრინჯაოს მედლები გადაეცა, გამბა გაანთავისუფლეს. მას არ აპატიეს ნახევარფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხება. შარშან გამბა სათავეში ჩაუდგა ბოლონიის „დიეტოროს". საბერძნეთში ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ (V ადგილი) გამბა კვლავ დააბრუნეს უფროს მწვრთნელად.

**მერაბ კალანდაძე.**

## „სპორტლოტო"

**ბუძინეჟინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 50-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6-45"-დან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 21 (ცურვა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 34 (ბალახის ჰოკეი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5-36"-დან:** 1 (კალათბურთი), 4 (კრივი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი).

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

## კალეიდოსკოპი

**კვლავ**
**სევილიის მატჩი**

გამოჩენილმა იუგოსლაველმა დიდოსტატმა პრედრაგ ნიკოლიჩმა, რომელიც დღეისთვის ექსტრაკლასის მოჭადრაკეთა მეტად მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის" კორესპონდენტს განუცხადა:

— კასპაროვისა და კარპოვის მეტოქეობა მსოფლიო პირველობაზე შემდგომ წლებშიც გაგრძელდება, რადგან არც ერთ თანამედროვე მოჭადრაკეს არ ძალუძს რეალური საფრთხე შეუქმნას მათ. ეტყობა, მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონი იმათი წრიდან იქნება, ვისაც დღეისათვის არავინ იცნობს. ჩემი აზრით, შეიძლება დავაკვირდეთ რომელიმე ჭაბუკ მოჭადრაკეს, რომელიც ჯერ 20 წლისაც არ არის და ვთქვათ, შეიძლება თუ არა იგი პოტენციურ მსოფლიო ჩემპიონად ვიგულვოთ.

შემდეგ ნიკოლიჩმა განაცხადა, რომ თუ კასპაროვსა და კარპოვს დღეისთვის ვერავინ შეეცილება ტახტისთვის ბრძოლის უფლებას, სამაგიეროდ, გამორიცხული არ არის სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში მათი უკან ჩამოტოვება. ამას გაისად რამდენიმე დიდოსტატი შეეცდება. ასეთი ტურნირები კი საკმაოდ ბევრია.

**მაყურებელთა**
**რიცხვმა იკლო**

იმის მიუხედავად, რომ იტალიის პირველ ლიგაში არაერთი ვარსკვლავი თამაშობს, ამ ქვეყანაში ფეხბურთის მატჩებზე მაყურებელთა რიცხვმა მაინც იკლო. რომში გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობით, 1986-87 წლების ჩემპიონატს (პირველი ლიგა) 730 ათასით ნაკლები მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე ქვეყნის წინა პირველობას, როცა თითოეულ მატჩს საშუალოდ 33 146 მაყურებელი ესწრებოდა.

**პარლამენტის**
**დეპუტატები ტრუსებში**

იტალიაში შეიქმნა პარლამენტის დეპუტატთა გუნდი ფეხბურთში, რომელმაც უკვე დაიწყო რეგულარული ვარჯიში. იტალიელი პოლიტიკოსები საპასუხისმგებლო მატჩისთვის ემზადებიან. ისინი ავსტრიის პარლამენტის დეპუტატთა გუნდს უნდა შეხვდნენ.

იტალიელებს ამ მატჩისთვის ამზადებს შეიარაღებულ ძალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი პატრიარკა, სწორედ ის დაასახელებს თერთმეტ „ფეხბურთელ-კანონმდებელს", რომლებსაც ქვეყნის ღირსების დაცვა მოუხდებათ. ნაკრების ერთი მონაწილის კანდიდატურა ეჭვს არ იწვევს. ესაა გუნდის კაპიტანი და თავისუფალი მცველი სერაფინი.

როგორც ნაკრების „სპორტულმა ხელმძღვანელმა" ქრისტიან-დემოკრატმა პომიჩინომ განაცხადა—„ჩვენთვის მთავარია კარგად მოვემზადოთ ტურნირისთვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გფრ-ის, ავსტრიის, ფინეთისა და შვეიცარიის პარლამენტების დეპუტატები. ეს საკონტროლო მატჩიც სწორედ ამას ისახავს მიზნად".

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად

**1. ფუნქციური მდგომარეობის გამოკვლევის ლაბორატორია:**

ლაბორატორიის გამგე — 1 მეცნიერებათა კანდიდატი.

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1.

უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1.

**2. ფეხბურთის ლაბორატორია:**

ლაბორატორიის გამგე — 1.

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი — 1.

უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 2.

**3. სპორტული მომზადების სამეცნიერო უზრუნველყოფის განყოფილება:**

უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი — 1.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ თბილისში მცხოვრებთ. განცხადებისა და დებულებით გათვალისწინებული საბუთების მიღების ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: 380062, თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ა. საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ტელეფონი: 23-55-87.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380008
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
ხაზდიკანი — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 15499